

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“



დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის
2018 წლის 20 დეკემბრის N04/ა ბრძანებით

შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (შემდგომში - „წესი“) შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, განათლების სფეროს ექსპერტთა რეკომენდაციებისა და აღნიშნული სფეროს მარეგულირებელი მომქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

2. წესი განსაზღვრავს შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორში“ (შემდგომში - „კოლეჯი“) პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, კვალიფიკაციის მინიჭების, პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხებს.

მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

1. კოლეჯის მიერ განხორციელებად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტანდარტის/საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას (შემდგომში - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა“) ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - შესაბამისი დარგის სპეციალისტი.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგს.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება/ადაპტირებას, განხორციელება/დანერგვასა და მოდიფიცირებაში.

მუხლი 3. პროფესიული განათლების მასწავლებლები

1. მოდულის განმახორციელებელი პირი არის პროფესიული განათლების მასწავლებელი.

2. სასწავლო საქმიანობის სრულყოფილად წარმართვისათვის კოლეჯს ჰყავს კოლეჯის სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შერჩეული შესაბამისი ოდენობის პროფესიული განათლების მასწავლებლები.

3. პროფესიული მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მქონე ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

4. შესაბამისი პროფესიული სტანდარტით/საგანმანათლებლო სტანდარტით შეიძლება დადგინდეს დამატებითი მოთხოვნები.

5. პროფესიული განათლების მასწავლებელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კოლეჯის დირექტორი.

მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება.

4.1. პროფესიულ სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული (საგნობრივი) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება.

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე დოკუმენტით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს და მასში მითითებული უნდა იყოს:

1. პროგრამის დასახელება
2. პროგრამის მოცულობა და მისანიჭებელი კვალიფიკაცია
3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა
4. პროფესიული პროგრამის მიზანი
5. სწავლის შედეგი
6. სწავლის შედეგების რუქა
7. სასწავლო გეგმა
8. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)
9. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება
10. სწავლების მეთოდები
11. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ
12. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ

2. საგანმანათლებლო პროგრამას ასევე უნდა ახლდეს სასწავლო კურსების/კომპონენტების პროგრამები (სილაბუსები);

4.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის/პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირება, დანერგვა, დამატება და მოდიფიცირება.

1. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. პროგრამას დანართების სახით ახლავს: პროგრამის სასწავლო გეგმა, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, მოდულები (ზოგადი, პროფესიული) და პროგრამის მატერიალური რესურსი სასწავლო გარემოს მიხედვით.

2. მოდული არის სწავლების დამოუკიდებელი, თანმიმდევრული ბლოკი, რომელიც ორიენტირებულია მისაღწევი სწავლის შედეგებზე. მოდულით განისაზღვრება სასწავლო თემატიკისა და მისაღწევი სწავლის შედეგების ურთიერთკავშირი და პროფესიული სტუდენტის სწავლებასა და შეფასების ორგანიზებასთან დაკავშირებული ინფორმაცია. მოდული წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განუყოფელ ნაწილს და მტკიცდება პროგრამასთან ერთად. მოდულში ცვლილებები ხორციელდება შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს/პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებასა და დანერგვაში მონაწილეობენ პროფესიული მასწავლებლები და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად.

5. ადაპტირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერის წარდგინების საფუძველზე.

6. კოლეჯის დირექტორი საკუთარი ინიციატივით ან ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციის საფუძველზე მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დამატებისა და დანერგვის მიზნით მიმართავს კოლეჯის დამფუძნებელს, რომელიც თავის მხრივ ღებულობს გადაწყვეტილებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და დანერგვის თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე დირექტორი გამოსცემს ბრძანებას, რომლითაც ავალებს ხარისხის მართვის მენეჯერს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ მასწავლებლებთან ერთად მოახდინოს აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირება და დანერგვა.

7. ადაპტირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, ხარისხის მართვის მენეჯერის წარდგინების საფუძველზე დირექტორი გამოსცემს ბრძანებას ზემოაღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების თაობაზე. ადაპტირებული და დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის უფლების მოპოვების მიზნით კოლეჯი შესაბამის განაცხადს წარადგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

8. მოდულის სტანდარტულ ჩანაწერში ცვლილებების განხორციელება არ შეიძლება. დახმარე ჩანაწერი არის სარეკომენდაციო ხასიათის და კოლეჯი უფლებამოსილია მოახდინოს მისი ცვლილებები საჭიროების შემთხვევაში. თუ სტანდარტულ ჩანაწერში დაფიქსირებულია ხარვეზები, კოლეჯმა აღნიშნულის შესახებ უნდა აცნობოს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერის წარდგინების საფუძველზე.

10. დირექტორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების შესახებ გამოსცემს ბრძანებას, რის საფუძველზეც ხორციელდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირება განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. პროფესიული სტუდენტი არის პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. პროფესიული სტუდენტობის კანდიდატი, პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობების გათვალისწინებით არის პირი, რომელსაც აქვს საბაზო, სრული ზოგადი ან უმაღლესი განათლება.

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურები და ვადები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, რომლის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია.

3. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურებისა და ვადების შესახებ განისაზღვრება:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზუსტი დასახელება, საფეხური, სწავლის საფასური და ადგილების რაოდენობა;

ბ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;

გ) წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათავალი:

გ.ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში – კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება;

გ.ბ) პასპორტის/პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი, ასევე მისი კანონიერი წარმომადგენლის პასპორტის/პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი);

გ.გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი),

გ.დ) 2 ფოტო 3x4 და მისი ელექტრონული ვერსია (დისკზე);

გ.ე) ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

დ) წინამდებარე წესის მე-3 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენის დაწყების და დასრულების ვადები;

ე) სასწავლო პროცესის დაწყების და დასრულების თარიღი.

4. წინამდებარე წესის მე-3 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ ბრძანების გამოცემამდე აპლიკანტმა უნდა უზრუნველყოს დოკუმენტების სრულად წარმოდგენა.

5. პირს ენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი კოლეჯის დირექტორის მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ ბრძანების გამოცემის, მასთან ხელშეკრულების გაფორმებისა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში ასახვის შემდეგ.

6. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები სტუდენტების ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

7. დირექტორის მიერ სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა შესაბამისი მონაცემები უნდა აისახოს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

8. იმ შემთხვევაში თუ კი კოლეჯში განაცხადი შემოიტანა სტუდენტთა იმ რაოდენობამ, რომელიც აღემატება წინასწარ განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის შეირჩევა განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დანართში დაფიქსირებული საბოლოო ნიშნების/ქულების საფუძველზე.

მუხლი 6. სასწავლო ხელშეკრულება

პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვისას, კოლეჯის მიერ პროფესიულ სტუდენტთან, ხოლო არასრულწლოვნობის შემთხვევაში მის კანონიერ წარმომადგენელთან ფორმდება ხელშეკრულება.

მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე

1. პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე მოიცავს:

ა) ჩარიცხვისას წარმოდგენილ ყველა დოკუმენტს;

ბ) ხელშეკრულებას;

გ) პროფესიული სტუდენტის სასწავლო ბარათს;

დ) პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებით გამოცემული ყველა სამართლებრივი აქტის დამოწმებულ ამონაწერს ან დამოწმებულ ასლს;

ე) კოლეჯის მიერ პროფესიულ სტუდენტზე გაცემული სერტიფიკატებისა და დიპლომების ასლებს;

ვ) სხვა დოკუმენტს ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით.

2. პროფესიული სტუდენტის პირად საქმეს და სასწავლო ბარათის შევსებას სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი.

3. პროფესიული სტუდენტის პირადი საქმის შენახვისა და განკარგვის პირობები განისაზღვრება კოლეჯის საქმისწარმოების ინსტრუქციით.

მუხლი 8. პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები

1. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მიიღოს მისი ინტერესების შესაბამისი ხარისხიანი განათლება, აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო და პრაქტიკულ საქმიანობაში.

2. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის უფლებების შეზღუდვა, თუ იგი არ ემსახურება სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას, მაღალი ხარისხის სწავლების, დისციპლინისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ან არ არის

მიმართული ამ წესით დადგენილი კოლეჯის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო საქმიანობის აღკვეთისათვის.

3. კანონმდებლობითა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი უფლებების გარდა კოლეჯის პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს კოლეჯის ადმინისტრაციას კანონმდებლობით, კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით, პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებითა და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;

ბ) ისარგებლოს კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

გ) მიიღოს კოლეჯის ადმინისტრაციისგან ამომწურავი ინფორმაცია თავისი უფლებების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და კოლეჯის სხვა რესურსების შესახებ;

დ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

ე) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;

ვ) მიიღოს მონაწილეობა კოლეჯის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასებაში.

4. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

ა) დაიცვას კანონმდებლობის, კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი წესებისა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები;

ბ) შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მოთხოვნები;

გ) შეასრულოს კოლეჯთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

დ) დაიცვას სხვა პირების უფლებები და კანონიერი ინტერესები;

ე) სასურველი შედეგის მიღწევის მიზნით არ გამოიყენოს პლაგიატი;

დ) გაუფრთხილდეს კოლეჯის ინფრასტრუქტურას;

ვ) იმოქმედოს იმგვარად, რომ არ შეურაცყოს კოლეჯის პრესტიჟი.

მუხლი 9. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად ითვლება კოლეჯსა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, როდესაც განაჩენის აღსრულება უნდა მოხდეს ისეთი ფორმით, რაც შეუთავსებელია სწავლასთან;

გ) ფინანსური დავალიანება;

დ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ორსულობა და ახალშობილის მოვალა;

ე) კოლეჯის შინაგანაწესით განსაზღვრული შემთხვევები და სხვა საფუძვლები.

3. პროფესიულ სტუდენტს სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სწავლისათვის გადახდილი თანხა არ უბრუნდება, მაგრამ სწავლის გაგრძელებისას ჩაეთვლება სწავლის საფასურში.

4. პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შესაძლოა შეუჩერდეს არაუმეტეს 2 წლის ვადით. პროფესიულ სტუდენტს სტუდენტის სტატუსის შეუწყდება თუ კი ზემოაღნიშნულ ვადაში არ აღიდგენს სტატუსს.

5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ხდება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლას გააგრძელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ ეტაპიდან, რომელ ეტაპზეც მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შეიმუშავებს ხარისხის მართვის მენეჯერი შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებასა და აღდგენასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობისა და კოლეჯის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მუხლი 10. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია პროფესიული სტუდენტის განცხადების საფუძველზე.

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, თუ კოლეჯი განახორციელებს მიღებას შემდეგ ნაკადზე.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლის გადახდილი საფასური.

4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა დირექტორის ბრძანება აქტი და მონაცემები აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში დირექტორის ბრძანებიდან 5 დღეში.

5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა შესაძლებელია ერთი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ.

6. იმ შემთხვევაში, თუ ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზედაც ირიცხებოდა პროფესიული სტუდენტი მისთვის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის გაუქმებულია, ან შეცვლილია პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია სწავლა

გააგრძელოს სხვა საგანმანათლებლო პროგრამით ან მობილობით გადავიდეს სხვა დაწესებულებაში, კანონმდებლობით დადგენილი წესითა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მუხლი 11. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) პროფესიული პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;

გ) გარდაცვალება;

დ) კანონიერ ძალაში შესული განაჩენი პროფესიული სტუდენტის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩადენისათვის, რომელიც ითვალისწინებს 5 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას;

ე) სწავლის პერიოდში 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება;

ვ) კოლეჯის შინაგანაწესითა და ამ წესით განსაზღვრული შემთხვევები და სხვა საფუძველები.

2. კოლეჯი ვალდებულია პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საკითხის დაყენების დროს აცნობოს პირს აღნიშნულის შესახებ, მოისმინოს მისი პოზიცია და მისცეს მას ახსნა-განმარტების წარმოდგენის უფლება.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა იწვევს პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების მოშლას, რაც არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოშლამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ვალდებულებების შესრულებისაგან.

4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ პირისათვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის საკითხი აღარ განიხილება და სტატუსის შეწყვეტამდე გადახდილი თანხა მას არ უბრუნდება.

5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში პროფესიული სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და პროფესიული სტუდენტი უფლებამოსია ისარგებლოს მობილობის უფლებით და გადავიდეს სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი თავიდან მოპოვება დასაშვებია წინამდებარე წესით სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებით გათვალისწინებული რეგულაციების შესაბამისად.

7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ხდება კოლეჯის დირექტორის დასაბუთებული ბრძანების საფუძველზე, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, გადაწყდება მომქმედი კანონმდებლობისა და კოლეჯის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მუხლი 12. მობილობა

1. პროფესიული სტუდენტის მობილობა არის პროფესიულ სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლებისა და კრედიტების აღიარება.

2. მობილობის განხორციელება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტს სურს სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება (შიდა მობილობა) ან სხვა დაწესებულებაში გადასვლა (გარე მობილობა);

ბ) თუ სხვა კოლეჯის პროფესიულ სტუდენტს სურს გადმოსვლა კოლეჯში არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2. მობილობის პროცედურის დაწყების საფუძველია პროფესიული სტუდენტის განცხადება (განცხადებას თან უნდა ერთვოდეს იმ დოკუმენტის ასლი, რომლის საფუძველზეც პირი ჩაირიცხა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლები), რომლის საფუძველზეც დგინდება პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის სწავლის შედეგების დადასტურების და მოდულის ცალკეული შედეგების დადასტურების თავსებადობის საკითხი. აღნიშნული საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება კომისია, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით. შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში ზემოაღნიშნული ოქმის საფუძველზე დირექტორი გამოსცემს ბრძანებას პირის მობილობის შესახებ.

3. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ერთი საფეხურის ფარგლებში.

4. მობილობის უფლება აქვს ნებისმიერ პროფესიულ სტუდენტს, რომელიც მობილობის დროისათვის წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების სტუდენტს, მიუხედავად იმისა შეჩერებული აქვს თუ არა მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

5. მობილობის დროს, მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის სრულად დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ავტომატურტად ჩაეთვლება მოდულის გავლა.

მუხლი 13. სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება და კვალიფიკაციის მინიჭება

1. პროფესიული კვალიფიკაცია – პროფესიული ცოდნისა და უნარების ფლობა, რაც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული პროფესიული დიპლომით.

2. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად აღიარებულ უნდა იქნას პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგი.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტულ საფეხურზე პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამის ათვისების შემდეგ მისი განათლების აღიარებისა და კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა ხორციელდება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის წარდგინების საფუძველზე გამოცემული დირექტორის ბრძანებით.

4. პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭება აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარება ხდება გავლილი მოდულების ან ცალკეული სწავლის შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში.

6. დირექტორის ბრძანების საფუძველზე მზადდება და გაიცემა შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომი, რომელსაც ხელს აწერს დირექტორი და მოწმდება კოლეჯის ბეჭდით.

7. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული საფეხური შეიძლება მიეცეს დირექტორის მიერ ხელმოწერილი და კოლეჯის ბეჭდით დამოწმებული სერთიფიკატი.

8. პროფესიული დიპლომის რეგისტრაციაში გატარების წესი განსაზღვრულია კოლეჯის საქმისწარმოების წესით.

9. პროფესიული განათლების აღიარებასა და კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია დადგენილი წესით ინახება კოლეჯში შემდგომი დამუშავებისა და არქივში გადაცემისათვის.

10. კოლეჯის სასერტიფიკატო პროგრამების (პროფესიული მომზადების პროგრამა/ პროფესიული გადამზადების პროგრამა) კურსდამთავრებულთათვის გაიცემა შესაბამისი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი, რომლის ფორმასაც ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

მუხლი 14. პირის მიერ მიღებული ფორმალური განათლების აღიარების წესი და პროცედურა

1. პირის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. პირის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების აღიარებას მათი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით, ახდენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარების მიზნით, პირი განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს, რის საფუძველზეც დირექტორი ბრძანებით ქმნის კომისიას.

4. კომისიის შემადგენლობაში შედიან პირები, რომლებსაც აქვთ სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის კომპეტენცია.

5. კომისია უფლებამოსილია ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაციები გაიაროს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან, ასევე პროგრამის განხორციელებაში ჩართულ სხვა მხარეებთან.

6. კომისია ახორციელებს პირის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენას პირის მიერ შერჩეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან და შედეგებს აფორმებს ოქმით.

მუხლი 15. პირის მიერ ფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული სწავლის შედეგების აღიარების პრინციპები

1. დასაშვებია მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება მოთხოვნილი პროგრამის მიზნებისათვის შემდეგ შემთხვევებში:

ა) სწავლის შედეგები ემთხვევა ერთმანეთს;

ბ) სწავლის შედეგების ფორმულირება განსხვავებულია, თუმცა შინაარსობრივად შეიძლება იდენტურად იქნეს მიჩნეული;

გ) მიღწეული სწავლის შედეგი მოიცავს მოთხოვნილი პროგრამის სწავლის შედეგს, ანუ ვერ იქნებოდა მიღწეული, ასაღიარებელი სწავლის შედეგის მიღწევის გარეშე;

2. სწავლის შედეგების შესაბამისი შესრულების კრიტერიუმებს შორის განსხვავება არ შეიძლება გახდეს სწავლის შედეგის აღიარებაზე უარის თქმის საფუძველი.

მუხლი 16. პირის მიერ მიღებული ფორმალური განათლების აღიარების თაობაზე ინფორმირება და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა

1. პირის მიერ მიღებული ფორმალური განათლების აღიარების კომისიის საოქმო გადაწყვეტილება ეცნობება პირს.

2. პირის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სურვილის შემთხვევაში, ის განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ, კოლეჯის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცახადებული მიღების ფარგლებში.

3. კოლეჯის მიერ ამ წესით დადგენილი პროცედურების დაცვით, პირის მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემთხვევაში, ის განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს, მიღებული ფორმალური განათლების აღიარების შედეგების გათვალისწინებით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის თაობაზე.

4. პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის პროექტს ადგენს კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად პროფესიული სტუდენტის ჩართულობით და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე, კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი ადგენს სასწავლო კალენდარისა და მეცადინეობის განრიგის პროექტებს და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

მუხლი 17. პირის მიერ მიღებული არაფორმალური განათლების აღიარება

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება გულისხმობს არაფორმალური გზით შექმნილი პროფესიული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმებას.

2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დროს ხდება პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმება.

3. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველი პირი არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებლად (შემდგომში - „მაძიებელი“) დაიშვება, თუ იგი აკმაყოფილებს პროფესიული განათლების მიღებისათვის და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვებისათვის საქართველოს კანონმდებლობითა და პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ წინაპირობებს.

4. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება პირის არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებლად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში.

მუხლი 18. პირის მიერ მიღებული არაფორმალური განათლების აღიარების წესი და პროცედურა

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მიზნით პირი მიმართავს კოლეჯს მხოლოდ იმ კვალიფიკაციათა ნაწილში, რომელი კვალიფიკაციის და საფეხურის შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებსაც ახორციელებს კოლეჯი.

2. აღიარების მოთხოვნის შესახებ განაცხადის საფუძველზე, აღიარების მსურველი ხვდება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს, რომელიც კონსულტაციას უწევს პირს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შესახებ;

3. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი:

ა) უზრუნველყოფს პირის ინფორმირებას არაფორმალური პროფესიული განათლების, მისი აღიარების მიზნებისა და შედეგების შესახებ;

ბ) პირს აწვდის ინფორმაციას არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებისათვის წარსადგენი დოკუმენტაციის, ასევე დაწესებული საფასურის შესახებ;

გ) უზრუნველყოფს პირის ინფორმირებას მისთვის სასურველი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობის შესახებ;

დ) ეხმარება პირს თვითშეფასების კითხვარის მეშვეობით განსაზღვროს არაფორმალურად შეძენილი პროფესიული კომპეტენციები და არსებობის შემთხვევაში დაადასტუროს ისინი შესაბამისი დოკუმენტაციით;

ე) პირს განუმარტავს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების ეტაპებს;

ვ) შუამდომლობს შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებისათვის პირისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

4. არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს:

ა) აღიარების შესახებ განცხადება;

ბ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (პროფესიული სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად) ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის გარეშე;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში), რომელიც შეიცავს ინფორმაციას პრაქტიკული მუშაობის ვადის, განხორციელებული საქმიანობის ან/და არსებული კომპეტენციების შესახებ (შრომითი ხელშეკრულებები, სამუშაოს აღწერები, ცნობა, სერტიფიკატი და ა.შ.);

ე) აღიარების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

5. კოლეჯის დირექტორი, წინამდებარე წესის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისა და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველი პირის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას განმცხადებლის არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებლად ცნობისა და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისიის შექმნის, ან მაძიებლად ცნობაზე უარის თქმის შესახებ, რის თაობაზეც გამოსცემს ბრძანებას.

6. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისიაში შედიან:

ა) დამსაქმებელთა წარმომადგენელი;

ბ) კოლეჯის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის წევრი;

გ) შესაბამისი დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელთა წარმომადგენლები, რომლებიც არ არიან კოლეჯის თანამშრომლები;

დ) კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

7. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისია, კომისიის ოქმის სახით იღებს გადაწყვეტილებას, სადაც აღინიშნება ის ცოდნა, უნარები და ღირებულებები, რომელთა ფლობაც დადასტურდა განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით და კომპეტენციები, რომლებიც უნდა შემოწმდეს გამოცდის/გამოცდების მეშვეობით.

8. იმ კომპეტენციების შემოწმების მიზნით, რომელთა ფლობაც ვერ დადასტურდა სათანადო დოკუმენტაციით, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილებით იქმნება არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების საგამოცდო კომისია/საგამოცდო კომისიები.

9. საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი უზრუნველყოფს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებლის ინფორმირებას საგამოცდო კომისიის/საგამოცდო კომისიების შექმნის, გამოცდის/გამოცდების ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ.

10. საგამოცდო კომისია შედგება დარგის სპეციალისტებისაგან და შესაბამისი დარგის დამსაქმებლებისგან. საგამოცდო კომისიის წევრი შესაძლებელია იყოს ასევე კონსულტანტი (ხმის უფლების გარეშე).

11. საგამოცდო კომისია კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების შეფასებას ახორციელებს დადასტურდა - არ დადასტურდა სისტემის შესაბამისად.

12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოცდა შეიძლება

ჩატარდეს როგორც წერილობით (ტესტები, კაზუსიან/და თეორიული ნაწილი), ასევე გასაუბრების ფორმით. მაძიებლის პრაქტიკული კომპეტენციების შემოწმების მიზნით გამოცდა ტარდება კოლეჯის ან/და დამსაქმებლის ბაზაზე. გამოცდის/გამოცდების მეთოდს/მეთოდებს საგამოცდო კომისია განსაზღვრავს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ადეკვატურად.

13. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცესზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების დაშვებისთვის საგამოცდო კომისია ახდენს გამოცდის მეთოდების მოდიფიცირებას მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

14. გამოცდის შედეგების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისია. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისია უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) მაძიებლის არაფორმალური პროფესიული განათლების სრულად აღიარების შესახებ;

ბ) მაძიებლის არაფორმალური პროფესიული განათლების ნაწილობრივ აღიარების შესახებ;

გ) მაძიებლის არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.

15. თუკი არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას მაძიებლის არაფორმალური პროფესიული განათლების ნაწილობრივ აღიარების შესახებ, კომისია გადაწყვეტილებაში ასევე მიუთითებს, თუ რომელი კომპეტენციების დამატებით დაუფლების შემთხვევაში ექნება მას პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურის სრული აღიარების მოპოვების შესაძლებლობა. სრული აღიარების მოპოვების შესაძლებლობა გულისხმობს ასევე პირის მიერ დამატებით არაფორმალური პროფესიული განათლების მიღებასა და მის შემდგომ აღიარებას. არაფორმალური განათლების აღიარების შემთხვევაში – მითითებას იმის თაობაზე, პროფესიული განათლების რომელ საფეხურს ან მის ნაწილს შეესაბამება განმცხადებლის კომპეტენციები, ასევე ცალკეული კომპონენტების შეფასებებს;

16. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება, რომელიც გამოიცემა არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისიის ოქმის საფუძველზე, ფორმდება დირექტორის ბრძანებით.

17. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებასთან დაკავშირებული ბრძანება მოიცავს:

ა) დაწესებულების დასახელებას;

ბ) განმცხადებლის ვინაობას;

გ) გადაწყვეტილების მიღების თარიღსა და ადგილს;

დ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესსა და ვადას.

18. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისიის ოქმი წარმოადგენს ბრძანების განუყოფელ ნაწილს.

19. გადაწყვეტილება კოლეჯის დირექტორის ბრძანებიდან 5 დღეში აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

მუხლი 19. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს ქვემოთ მოცემულ მექანიზმებს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით:

ა) კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის თაობაზე იმავე ან მონათესავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში;

ბ) კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს შეცვლილი ან გაუქმებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შესაძლებლობით უზრუნველყოფას;

გ) კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას შეცვლილი ან გაუქმებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ მონათესავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელსაც თავად ახორციელებს.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხორციელდება პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარება.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მექანიზმების არარსებობის შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში თუ კი პროფესიული სტუდენტი წერილობით უარს განაცხადებს არსებულ მექანიზმებზე, კოლეჯი ახორციელებს შესაბამისი სერთიფიკატის/ცნობის გაცემას აღნიშნული პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების საფუძველზე.

მუხლი 20. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა

20.1. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა პროფესიულ (საგნობრივ) საგანმანათლებლო პროგრამებზე

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 –60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

3. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

5. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

20.2. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

1. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

2. განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის პროფესიული მასწავლებლის გადაწყვეტილებით შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

3. განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას მოდულით განსაზღვრული შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად. ის ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

4. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის დადასტურება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

დასრულებამდე ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დადასტურდა. პროფესიულ სტუდენტს ზემოაღნიშნული უფლების რეალიზების საშუალება ერთი სწავლის შედეგის ფარგლებში ეძლევა მხოლოდ ორჯერ.

5. ერთი სწავლის შედეგის ფარგლებში სწავლის შედეგის ორჯერ ვერ დადასტურების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება ეძლევა განმეორებით გაიაროს მოდული, რისთვისაც ვალდებულია გადაიხადოს ზემოაღნიშნული მოდულის განმეორებით გავლის საფასური, რომელიც განისაზღვრება პროფესიული სტუდენტისათვის მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობის შესაბამისად, ხოლო ერთი კრედიტის ღირებულება კი განისაზღვრება წინამდებარე წესის მიხედვით.

6. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება დირექტორის სახელზე წარდგენილი პირადი განცხადების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება საკითხის შემსწავლელი დროებით კომისია (კომისიის შემადგენლობაში შედიან: დირექტორი; სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; ხარისხის მართვის მენეჯერი; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი) და განისაზღვრება საკითხის განხილვის ვადა. კომისია პროფესიული სტუდენტის განცხადების სრულყოფილად და სამართლიანად განხილვის მიზნით გადახედავს და აფასებს შესრულების მტკიცებულებას ან თავიდან ახორციელებს პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელ შეფასებას, რომლის შედეგების საფუძველზე ოქმის სახით აფორმებს პასუხს პროფესიული სტუდენტის განცხადებაზე. აღნიშნული პასუხი პროფესიულ სტუდენტს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

7. კალენდარულ გეგმასა და შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და მოდულის დაწყებამდე 15 სამუშაო დღით ადრე წარუდგენს ხარისხის მართვის მენეჯერს, რომელიც განიხილავს და ვერიფიკაციის შემთხვევაში ადასტურებს მათ. პროფესიული მასწავლებელი უფლებამოსილია თავად გადაწყვიტოს თუ რომელ კრიტერიუმს გამოიყენებს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისას.

8. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით დადასტურებას. ყველა სწავლის შედეგი დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებით.

9. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს.

10. შესრულების მტკიცებულებები ინახება მათი მოპოვებიდან 1 წლის ვადით, რის შემდეგაც ხორციელდება მათი განადგურება კოლეჯის საქმისწარმოების ერთიანი წესებით გათვალისწინებული პროცედური შესაბამისად.

11. შესრულების მტკიცებულებები მოიცავს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას.

12. სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

13. სწავლის შედეგის დადასტურება ხორციელდება ერთი პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ.

14. კონკრეტული მოდულის ფარგლებში შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება.

15. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგი ფორმდება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისით.

16. პროფესიული სტუდენტი, რომელიც სრულად ვერ ითვისებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულს და წყვეტს სწავლას, უფლებამოსილია მოითხოვოს სერთიფიკატი განვლილი მოდულების/სწავლის შედეგების შესახებ.

მუხლი 21. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვის წესი

1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სწავლებისა და სწავლის პროცესში ჩართულობას კოლეჯი უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოთი, რაც გულისხმობს:

ა) კოლეჯის შენობაში თავისუფლად შეღწევის შესაძლებლობას;

ბ) აუცილებლობის შემთხვევაში დაცვა-უსაფრთხოების მუშაკის/მუშაკების გამოყოფას შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე.

2. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისათვის კოლეჯის მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებით, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - პროფესიულის საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

3. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შეიმუშავებს ხარისხის მართვის მენეჯერი შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

მუხლი 22. კრედიტების დაგროვება შეცვლილ პროგრამაზე

1. პროფესიული სტუდენტს მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამისი კრედიტები შეცვლილი პროგრამის მიზნებისათვის დაგროვებულად ეთვლება იმ რაოდენობით, რასაც ითვალისწინებს შეცვლილი პროგრამა.

2. თუ ცალკეულ სწავლის შედეგზე კრედიტების რაოდენობის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება, პროფესიულ სტუდენტს დაგროვებულად ეთვლება შეცვლილი პროგრამის

მოდულით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, თუ ამ მოდულის ყველა სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებულია.

3. თუ აღიარების პროცესში დადგინდა, რომ პროფესიულ სტუდენტს უდასტურდება შეცვლილი პროგრამის მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების ნაწილი, კრედიტის მინიჭება განხორციელდება მოდულით გათვალისწინებული, დაუდასტურებელი სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

მუხლი 23. პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნა

1. პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნა უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ წესითა და კოლეჯის სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

2. პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნის წარმოება არ უნდა ზღუდავდეს პროფესიული სტუდენტის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა ისეთი შემთხვევებისა თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, კოლეჯის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას. პროფესიული სტუდენტის დისციპლინური დევნის საკითხს წყვეტს სპეციალური კომისია, რომელიც დირექტორის ბრძანებით იქმნება. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს დაესწროს საკუთარი საქმის განხილვას;

3. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება;

4. დისციპლინური პასუხისმგებლობა გამოიყენება კოლეჯის პროფესიული სტუდენტების მიმართ მათ მიერ კოლეჯის ტერიტორიაზე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში.

5. პროფესიული სტუდენტის მიმართ გამოიყენება შემდეგი სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები:

- ა) გაფრთხილება;
- ბ) მატერიალური ზიანის ანაზღაურება;
- გ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

მუხლი 24. პროფესიული სტუდენტის ქცევის წესები და პასუხისმგებლობა

1. პროფესიული სტუდენტები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ კოლეჯის პრესტიჟს, ზუსტად დაიცვან კოლეჯის ტერიტორიაზე ქცევის წესები, აგრეთვე ეთიკის ნორმები კოლეჯის პერსონალთან და სხვა პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობაში.

2. კოლეჯის ტერიტორიაზე პროფესიულ სტუდენტებს ეკრძალებათ:

- ა) თამბაქოს მოწევა კოლეჯის ტერიტორიაზე რაც გამოიწვევს გაფრთხილებას;
- ბ) ხმაური და მეცადინეობისათვის ხელის შეშლა, რაც გამოიწვევს პროფესიული სტუდენტის გაფრთხილებას;
- გ) კოლეჯის შენობის ტერიტორიაზე პოლიტიკური ხასიათის გამოსვლებისა და მიტინგების მოწყობა, რაც გამოიწვევს გაფრთხილებას;

დ) კოლეჯის შენობაში ცეცხლსასროლი იარაღით შესვლა, რაც გამოიწვევს გაფრთხილებასა და შესაბამის კანონით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას;

ე) კოლეჯის ტერიტორიაზე ახარტული თამაშები, რაც გამოიწვევს გაფრთხილებას ან სტატუსის შეწყვეტას;

ვ) ალკოჰოლური საშუალებების გამოყენება, ან ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ კოლეჯში გამოცხადება, რაც გამოიწვევს გაფრთხილებას ან სტატუსის შეწყვეტას;

ზ) ნარკოტიკული საშუალებების გამოყენება, გავრცელება, რაც გამოიწვევს ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

თ) გამოცდის ჩატარებისა და გამოცდაზე ქცევის წესების დარღვევა, რაც გამოიწვევს გაფრთხილებას;

ი) კოლეჯში გამოცხადება გარეგნულად მოუწესრიგებელი სახით, არაადეკვატური ჩაცმულობით და ჰიგიენის ნორმების დაუცველად, რაც გამოიწვევს გაფრთხილებას;

კ) აუდიტორიული მეცადინეობის ხელის შეშლა ან ჩაშლა, რაც გამოიწვევს გაფრთხილებას;

ლ) კოლეჯის შენობაში განცხადებების ჩამოხევა ან გაფუჭება, რაც გამოიწვევს გაფრთხილებას;

მ) პროფესიული სტუდენტების ან/და თანამშრომლებისათვის ცრუ ინფორმაციის მიწოდება, რომლის მიზანიც იყო აუდიტორიული მეცადინეობის ან გამოცდის ჩაშლა, ან გაცდენების საპატიოდ ჩათვლა ან მისი ოჯახის წევრებთან კოლეჯის თანამშრომლობის კონტაქტისათვის ხელის შეშლა, რაც გამოიწვევს გაფრთხილებას;

ნ) კოლეჯის ქონების დაზიანება, დაკარგვა ან დაუბრუნებლობა, რაც გამოიწვევს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას და სტატუსის შეწყვეტას;

ო) კოლეჯისათვის საჭირო დოკუმენტაციის უნებართვოდ აღება ან განადგურება, რაც გამოიწვევს ამ ქმედების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებას და სტატუსის შეწყვეტას;

პ) კოლეჯის ტერიტორიის (შენობისა და ეზოს) დანაგვიანება-დაზინძურება, რაც გამოიწვევს დასუფთავების ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებას და გაფრთხილებას.

მუხლი 25. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის მეთოდოლოგია

1. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა.

2. A ტიპის სასწავლო გარემო თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისათვის არის განკუთვნილი და აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, კომპიუტერით, პრინტერითა და პროექტორით.

3. B ტიპის სასწავლო გარემო კომპიუტერული ლაბორატორიაა და აღჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერით, სასწავლო მერხებითა და სკამებით, პროექტორით.

4. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნებისათვის C ტიპის სასწავლო გარემო აღჭურვილია მოდულებში მითითებული მატერიალური რესურსით - ინვენტარით.

5. დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთიადიმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში.

6. დასაშვებია სასწავლო გარემოს სხვადასხვა მოდელის (A, B და C სასწავლო გარემო) ერთ სივრცეში განთავსება.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უმეტესი ნაწილი ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, ღია სივრცეში, შესაბამისად A სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ დატვირთულია 50%-ით, რაც კოლეჯს საშუალებას აძლევს A სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ოთხმაგი რაოდენობა.

8. B სასწავლო გარემოში პროფესიული სტუდენტი წლიური 60 კრედიტიდან ითვისებს საშუალოდ 3 კრედიტს, შესაბამისად B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 5%-ით, რაც კოლეჯს საშუალებას აძლევს B სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ოცმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ორმოცმაგი რაოდენობა.

9. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებულ რაოდენობებს შორის უმცირესს.

10. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ან C სასწავლო გარემოს ფართი.

11. ოც პროფესიულ სტუდენტზე კოლეჯს ჰყავს მინიმუმ ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი.

12. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს ავტორიზაციის საბჭო ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას კოლეჯის მიერ ცენტრში წარდგენილ საავტორიზაციო განაცხადში მითითებული ადგილების რაოდენობის მიხედვით.

მუხლი 26. სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შენახვისა და გამოყენების მექანიზმები

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის, პროგრამაში შემავალ მოდულებში მითითებული მასალებისა და ნედლეულის რაოდენობის გათვალისწინებით სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი პროფესიული განათლების მასწავლებლებთან კონსულტაციის საფუძველზე წარუდგენს დირექტორს მოთხოვნას შესაძენი მასალებისა და ნედლეულის შესახებ შესაბამისი მოდულის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

2. სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალებისა და ნედლეულის შეძენას უზრუნველყოფს კოლეჯის ადმინისტრაცია.

3. მასალებისა და ნედლეულის შეძენისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი ვარგისიანობის ვადა გამოყენების მომენტისათვის.

4. მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება შენახვის შესაბამისი წესების დაცვით.

5. სასწავლო მიზნებისათვის მასალებისა და ნედლეულის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერისთვის გადაცემას ახორციელებს ადმინისტრაცია, მიღება-ჩაბარების აქტით.

6. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერისთვის სასწავლო მიზნებისათვის გადაცემული მასალა და ნედლეული გამოყენებული უნდა იქნას საგანმანათლებლო მიზნებისათვის. საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული მასალის სხვა მიზნებისათვის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, დასაშვებია ადმინისტრაციის წერილობითი თანხმობით.

7. მოდულის დასრულების შემდეგ დგება ანგარიში გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ და გაუხარჯავი მასალები და ნედლეული ბრუნდება უკან შესაბამისი პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

მუხლი 27. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი

1. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი წარმოადგენს შეფასების მტკიცებულებას და უნდა ინახებოდეს ამ მუხლით დადგენილი წესით.

2. პროდუქტი, რომელიც არსებობს დოკუმენტაციის სახით (ტესტები, პროექტები, მასწავლებლის დაკვირვების ფორმები და სხვა) ინახება, კვალიფიკაციის მინიჭებიდან ერთი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება კოლეჯის საქმისწარმოების ინსტრუქციით ან გადაეცემა ბიბლიოთეკას საგანმანათლებლო მიზნებისათვის.

3. პროდუქტი, რომელიც წარმოდგენილია ელექტრონული სახით უნდა ჩაიწეროს ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე და ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან ერთი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება დადგენილი წესით ან გადაეცემა ბიბლიოთეკას საგანმანათლებლო მიზნებისათვის.

4. პროდუქტი, რომელიც განთავსებულია გლობალურ ქსელში (ინტერნეტი), ელექტრონული მისამართები იწერება რეესტრში და რეესტრი ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან ერთი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც შესაძლებელია წაიშალოს.

5. პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს მატერიალური სახის შემოქმედებით ნაშრომს (ნახატი, მაკეტი და სხვა) ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან ერთი წლის განმავლობაში. შესაძლოა შენახვის პერიოდში გამოყენებულ იქნას საგანმანათლებლო მიზნებისათვის, რის შემდეგაც შესაძლოა მისი რეალიზაცია, გადაცემა სხვა პირისათვის საქველმოქმედო მიზნებისათვის ან ნადგურდება დადგენილი წესით ან რჩება კოლეჯის საგანმანათლებლო მიზნებისათვის.

6. პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს მალფუჭებად საქონელს, უნდა დაფიქსირდეს ფოტო ან ვიდეო გამოსახულების სახით, რაც ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან ერთი წლის განმავლობაში. შესაძლოა პროდუქტის რეალიზაცია ან სხვა პირისათვის გადაცემა საქველმოქმედო მიზნებისათვის, ან ნადგურდება დადგენილი წესით ან ხდება სხვაგვარად განკარგვა აკადემიის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტში მითითებული პროდუქტის სხვაგვარად განკარგვა გარდა განადგურებისა, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აკმაყოფილებს ქვეყანაში დადგენილ სანიტარულ-ჰიგიენურ და უსაფრთხოების ნორმებს.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტში მითითებული პირობების კონტროლი და შესაძლო შედეგებზე პასუხისმგებლობა ეკისრება კოლეჯის ადმინისტრაციას.

9. სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის შენახვისას შესაძლებელი უნდა იყოს მისი ავტორ(ებ)ის/შემქნელ(ებ)ის იდენტიფიკაცია.

მუხლი 28. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია

1. სასწავლო პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესების დაცვით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში უტილიზაცია უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს და გარშემო მყოფ პირებს.

2. ნარჩენების შეგროვებაზე და უტილიზაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამისი მოდულის განმახორციელებელს.

3. უტილიზაცია უნდა განხორციელდეს შესაბამისი პროფესიული სტუნდენტების მონაწილეობით, როგორც საგანმანათლებლო პროცესის ნაწილი.

4. განხორციელებული უტილიზაციის პროცედურის შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს კოლეჯის ადმინისტრაციისადმი წარდგენილ სამსახურეობრივ ბარათში/ანგარიშში.

მუხლი 29. სწავლის საფასური

1. კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის სრული საფასური განისაზღვრება დირექტორის ბრძანების საფუძველზე (1 კრედიტის საფასური არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული საფასური გაყოფილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების მთლიან რაოდენობაზე).

2. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის შეიძლება დაწესდეს სწავლების განსხვავებული საფასური.

3. სწავლის საფასურთან დაკავშირებით, კოლეჯში მოქმედებს შეღავათები შემდეგი პირების მიმართ:

ა) ომისა და შეირადებული ძალების ვეტერანები და მათი შვილები;

ბ) იძულებით გადაადგილებული პირები;

გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაზარალებული მოქალაქეები;

დ) I და II ჯგუფის შშმ პირები;

ე) ორივე მშობლით ობოლი პირები, რომლებიც საჭიროებენ მეურვეობას;

ვ) სოციალურად დაუცველის სტატუსის მატარებელი პირები;

ზ) ერთი ოჯახიდან ერთზე მეტი პირის სწავლის შემთხვევაში;

თ) პირი, რომელიც არის მრავალშვილიანი ოჯახიდან (სამი და მეტი შვილი).

4. სწავლის საფასურის გადახდაში შეღავათის განხორციელების საკითხი განიხილება პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯის დირექტორის სახელზე განცხადებისა და ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კატეგორიისადმი კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში.

5. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სწავლის საფასურის გადახდაში დაწესებული შეღავათის სახე და ოდენობა განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, არსებულ გარემოებათა გათვალისწინებით.

მუხლი 31. დამატებითი დებულებები

1. კოლეჯი, მის მიერ სასწავლო ფართის ან მისამართის ცვლილების შემთხვევაში, ვალდებულია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წერილობით აცნობოს შეცვლილ ფართში/მისამართზე საქმიანობის განხორციელების დაწყებამდე 30 კალენდარული დღით ადრე, გარდა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შემთხვევებისა, რა დროსაც კოლეჯი ვალდებულია შეცვლილ ფართში/მისამართზე საქმიანობის განხორციელების დაწყების შესახებ ცენტრს აცნობოს დაუყოვნებლივ და წარუდგინოს ფართის მართლობიერ მფლობელობაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2. იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯის მიერ ავტორიზაციის მინიჭების მომენტიდან პროფესიული განათლების მასწავლებლების საერთო რაოდენობის ცვლილებამ მიაღწია 10%-ს, იგი ვალდებულია ცვლილებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში წერილობით აცნობოს ცენტრს აღნიშნულის შესახებ.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ცვლილების შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია ცენტრს წერილობით აცნობოს ცვლილების განხორციელებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და წარუდგინოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ასევე ცვლილებების განხორციელების შესახებ გამოცემული აქტი.

მუხლი 32. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესს ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

2. წინამდებარე წესში ცვლილებების ან/და დამტკიცების განხორციელება შესაძლებელია დირექტორის ბრძანების საფუძველზე.